

K 1185
K 1a

თბილისის ა. ჯავახიძის სახელობის სახელმწიფო
სამეცნიერო ბიბლიოთეკა

რუსეთთან უკრაინის
შეერთების 300 წლისთავი

თბილისი
1954

016:9(17.7)

შ.ვ. 2019 - 18189
K1185
10

თბილისის ა. ჯაფარიძის სახელობის
სახელმწიფო სამეცნიერო ბიბლიოთეკა

რუსეთის უკრაინის შეერთების 300 წლისთავი

(მეთოდური წერილი)

შემდგენელი: ა. შანიძე
ნ. ჭელიძე

თბილისი
1954



94(477)"1648-1654"(072)

პ/შგ. რედაქტორი: ზ. მუჩიაშვილი

შეკ. 1485

უე. 15701

ტირ. 500

მთავარბოლიგრაფამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

შესავალი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღეს დადგენილება, რომ ფართოდ აღინიშნოს რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი, როგორც თვალსაჩინო ისტორიული მოვლენა, როგორც რუსი და უკრაინელი ხალხებისა და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ეროვნული დღესასწაული.

საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას შორეული წარსული აქვს. იგი ჩაისახა, მაშინ როცა რუსი ხალხი აერთიანებდა და რაზმავდა ჩვენს სამშობლოში მოსახლე ყველა ხალხს უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ, რომლებსაც სურდათ ხელში ჩაეგდოთ ბუნებრივი სიმდიდრე.

„ეს მეგობრობა ვითარდებოდა იმ პერიოდში, როცა რუსეთის პროლეტარიატი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სხვა ეროვნებათა მუშეებს რაზმავდა მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. იგი გამოიწვით და უძლეველ ძალად გაიზარდა სსრ კავშირის ყველა ხალხის

ერთობლივ ბრძოლაში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისათვის, სამოქალაქო ომის ცეცხლში, გმირული ყოველდღიურ სოციალისტურ მშენებლობაში, დიდი სამამულო ომის მძიმე, მაგრამ სახელოვან წლებში. ფართოვდება და მტკიცდება ეს ურღვევი, ბრძოლებში გამოწრთობილი მეგობრობა ახლა, როცა სსრ კავშირის ხალხები ძალღონესა და შრომას არ იშურებენ და ახორციელებენ ჩვენ ქვეყანაში კომუნისმის აშენების პროგრამას, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ შეიმუშავეს“ („პრავდა“).

უკრაინის ხალხმა ბევრი ტანჯვა განიცადა და ბევრი მძიმე მსხვერპლი გაიღო განმათავისუფლებელ ბრძოლაში, ამ ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი ფურცელი იყო განმათავისუფლებელი ომი, რომელსაც უკრაინელი ხალხი ეწეოდა 1648 — 1654 წლებში თავისი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწისა და მხედართმთავრის ბოგდან ხმელნიცკის ხელმძღვანელობით. ეს საერთო-სახალხო ბრძოლა დაგვირგვინდა პერეიასლავის რადის 1654 წლის 8 (18) იანვრის გადაწყვეტილებით რუსეთთან უკრაინის შეერთების შესახებ. ამით უკრაინელმა ხალხმა თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა თვისტომ მოძმე რუს ხალხს. ეს იყო უდიდესი პროგრესული მოვლენა, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ რუსეთს სათავეში ედგნენ მეფე და მემამულეები.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რუსეთის ყველა ხალხი დაადგა ახალ სოციალისტურ გზას. უკრაინელმა ხალხმა თავისი საუკუნოებრივი ოცნება

განახორციელა — მან შექმნა უკრაინის ეროვნული საბჭოთა სახელმწიფო, რითაც საფუძველი ჩაუყარა თავისი ისტორიის ახალ, ყველაზე სახელოვან ეპოქას. დღეს საბჭოთა უკრაინა წარმოადგენს მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რესპუბლიკას, რომელსაც აქვს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მრეწველობა, მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობა, ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური მოწინავე კულტურა. ორი სლავი ხალხის — რუსი და უკრაინელი, ხალხების — ურღვევი სამარადისო მეგობრობა მკაფიოდ გამოიხატება მათი კულტურული ურთიერთობითაც. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე სსრ კავშირის ხალხთა ბევრ ენაზე გამოიცა უკრაინულ ავტორთა 1600-ზე მეტი წიგნი, რომელთა საერთო ტირაჟი 50 მილიონს აღემატება. მარტო საბჭოთა ხელისუფლების წლებში ტ. შევჩენკოს წიგნები 335 გამოცემად გამოვიდა 38 ენაზე. ქართულ ენაზე გამოცემული ი. ფრანკოს, ტ. შევჩენკოს, ლ. უკრაინკას და სხვა მწერლებისა და პოეტების ქმნილებანი დიდი განძია კულტურის საუნჯეში ქართველი მკითხველებისათვის.

ქართველი ხალხი რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს აღნიშნავს როგორც ეროვნულ დღესასწაულს. ქართველ და უკრაინელ ხალხთა მეგობრობას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. XVIII საუკუნის მერრე ნახევარში უკრაინაში დასახლდა ცნობილი ქართველი პოეტი დავით გუტრაშიშვილი, რომელმაც იქ გაატარა სიცოცხლის უკანასკნელი დღენი და სიკვდილის

შემდეგ უკრაინელმა ხალხმა ის მირგოროდში დასაფლავა.

ქართველ ხალხს არ ავიწყდება და უდიდესი სიყვარულით იგონებს სურამში დასაფლავებულ ლესია უკრაინკას — თავისუფლებისათვის მებრძოლ პოეტს, რომელმაც შეიყვარა საქართველოს ბუნება, ხალხი და საქართველოს მიმართ სრულებით კმაყოფილი მიებარა ქართულ მიწას. რუსეთში ყოფნის დროს ერთიმეორეს დაუმეგობრდნენ უკრაინის დიდი პოეტი ტ. შვეჩენკო და ქართველი კლასიკოსი აკაკი წერეთელი.

უსაზღვროა საბჭოთა ხალხის მეგობრობა დღევანდელ პირობებში, როდესაც ჩვენი ქვეყნის მშრომელები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, ცოდნას, მიღწევებს, რათა კიდევ უფრო წარმატებით შეასრულონ საწარმოო გეგმები და ამით ხელი შეუწყონ კომუნისტური მშენებლობის საქმეს.

აი ასეთ პირობებში კვლავ გრძელდება ქართველი ხალხისა და უკრაინის ხალხის მტკიცე მეგობრობა. მაგალითად, ჯერ კიდევ 15 წლის წინათ სოციალისტური შეჯიბრების სახით (წერილობით, დღეგაციის გაგზავნით) ერთმანეთს დაუყავშირდნენ მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა და უკრაინის გენჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა.

ასეთივე ძმური მეგობრობა აქვთ ერთმანეთთან ტიათურისა და ნიკოპოლის მუშებსა, მირგოროდისა და სურამის სკოლების მოსწავლეებს.

საქართველოს თეატრებში ხშირად იდგმება უკრაინელი დრამატურგების პიესები.

საბჭოთა კავშირის ხალხები დიდი ენთუზიაზმით ემზადებიან მნიშვნელოვანი თარიღის—რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად. ამ თარიღის აღნიშვნაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ ჩვენმა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმაც, კერძოდ კი ბიბლიოთეკებმა, რომლებმაც მკითხველებთან უნდა ჩაატარონ მთელი რიგი სამუშაოები.

ამასთან დაკავშირებით ქვემოთ ვიძლევი მეთოდურ მითითებებს, რაც ერთგვარ დახმარებას გაუწევს ბიბლიოთეკის მუშაკებს.

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი აღინიშნება 1954 წლის იანვარში, როგორც თვალსაჩინო ისტორიული მოვლენა, როგორც უკრაინელი და რუსი ხალხების და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაული.

ამ თარიღის აღსანიშნავად სათანადო მუშაობა უნდა ჩაატარონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, მათ შორის მასობრივმა ბიბლიოთეკებმაც.

მასობრივი ბიბლიოთეკები სისტემატურად უნდა სწავლობდნენ თავიანთი წიგნობრივი ფონდის განყოფილებებს, თითოეული განყოფილების შესწავლის შე-

დეგად ადგენდნენ ხარვეზებს და დროულად აკომპლექტებდნენ ფონდებს საჭირო ლიტერატურით.

ამ შემთხვევაში ბიბლიოთეკებმა უნდა შეისწავლონ წიგნობრივი ფონდის (891.79) უკრაინული მხატვრული ლიტერატურის განყოფილება. მათ უნდა დაადგინონ ხარვეზი, აკლია თუ არა წიგნობრივ ფონდს ის მეტად მნიშვნელოვანი წიგნები, რაც ითარგმნა უკრაინულიდან ქართულ ან რუსულ ენაზე. დროულად უნდა შეიძინონ და მიაწოდონ ისინი მკითხველებს.

წიგნობრივი ფონდის შესწავლისა და დაკომპლექტების კარგ მაგალითს იძლევა თბილისის შაუმიანის სახელობის ბიბლიოთეკა. აქ სისტემატურად სწავლობენ წიგნობრივი ფონდის მხატვრული ლიტერატურის განყოფილებას. ამ ახლო წარსულში შესწავლილ იქნა წიგნობრივი ფონდი და შეიძინეს უკრაინულიდან ქართულ ენაზე თარგმნილი ო. გონჩარის — „მედრომენი“, ვ. კაზაჩენკოს — „ახალი ნაკადები“, ი. ფრანკოს — „პოეზია“ და სხვა. ბიბლიოთეკამ სულ შეიძინა 13 წიგნი.

აღნიშნული წიგნებით ბიბლიოთეკამ მომსახურება გაუწია 80-ზე მეტ მკითხველს. აგრეთვე მოაწყო რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელზეც ნაჩვენები იყო ხსენებული ლიტერატურა.

ბიბლიოთეკის თითოეული მუშაკისათვის ნათელი უნდა იყოს, რომ რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღნიშვნა დიდი ისტორიული მოვლენაა. ამიტომ ბიბლიოთეკა ვალდებულია სამკითხველო დარ-

ბაზში სათანადო მუშაობა ჩაატაროს, რისთვისაც საჭიროა შეადგინოს კონკრეტული გეგმა. გეგმა შეიძლება შედგენილ იქნას ქვემოთ მოყვანილი სანიმუშო სქემის მიხედვით.

გ ე გ მ ა

ბიბლიოთეკისა რუსეთთან უკრაინის

შეერთების 300 წლისთავთან დაკავშირებით

ქმნი რიცხვ	მუშაობის შინაარსი	გეგმით	შესრულება	შესრულების დრო	შემსრულებელი	შენიშვნა
1.	წიგნობრივი ფონდის მხატვრული განყოფილების შესწავლა — ხარვეზების დადგენა და მათი შევსება.					
2.	გამოფენის მოწყობა თემაზე: „რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი“.					
3.	ლიტერატურის მოკლე სარეკომენდაციო სიის შედგენა.					
4.	თემატური კარტოთეკის შედგენა თემაზე: „მასალები რუსეთთან“					

№№ რიგზე	მუშაობის შინაარსი	გვერდით	შესრულება	შესრულების დრო	შეგსრულებული	შენიშვნა
5.	<p>უკრაინის შეერთების 30) წლისთავთან დაკავშირებით.</p> <p>ხმაზალალი კითხვა-საუბრების ჩატარება:</p> <p>ა) რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის შესახებ.</p> <p>ბ) ხალხთა მეგობრობისა და ძმობის დიადი ძალის შესახებ.</p>					
6.	<p>ქართველ და უკრაინელ ხალხთა დიადი მეგობრობა.</p> <p>ლექცია - მოხსენებების ჩატარება.</p> <p>თე მ ე ბ ი :</p> <p>ა) ბოგდან ხმელნი-ცკი — უკრაინელი ხალხის დიდი შვილი.</p> <p>ბ) დიდი უკრაინელი პოეტი დემოკრატი ტარას შევჩენკო.</p>					

№-ს რიცხვი	მუშაობის შინაარსი	გვერდი	შესრულება	შესრულების დრო	შესრულებული	წინაშევა
8.	<p>გ) ქართველ და უკრაინელ ხალხთა დიადი მეგობრობა და სხვ. კედლის გაზეთის სპეციალურ ნომრის გამოშვება.</p>					
9.	<p>მკითხველთა კონფერენციის ჩატარება წიგნებზე:</p> <p>ტ. შვეჩენკო — „კობზარი“ ი. ფრანკო — „ბორისლავი იცინის“, ვ. კაზაჩენკო — „ახალი ნაკადები“, ო. გონჩარი — „მედროშენი“ და სხვა (შერჩევით).</p> <p>თუ საჭიროდ დაინახავს, ბიბლიოთეკას გეგმაში შეუძლია გაითვალისწინოს სხვა ლონისძიებებიც.</p>					

ბიბლიოთეკის გაშვება:

მასობრივმა ბიბლიოთეკამ რუსეთთან უკრაინის შეერთებისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოფენა დაკვირვებით და მაღალხარისხვნად უნდა მოაწყოს. არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ყოველი საბიბლიოთეკო გამოფენის ძირითადი ექსპონატია წიგნი. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გამოფენაზე წიგნის სათანადო მიმზიდველობით წარმოდგენას (მნიშვნელოვანი ლიტერატურის თვალსაჩინოდ, ეფექტიურად განლაგება). წიგნები ისე უნდა იყოს განლაგებული, რომ მკითხველები ძალდაუტანებლად და ერთი თვალის გადავლებით გაეცნონ გამოფენილ მხატვრულ ლიტერატურას, იმ წიგნებს, რომლებიც იპყრობს მათ ყურადღებას. ყოველ გამოფენას პოლიტიკური მიზანდასახულება აქვს. ამიტომ თითოეულმა ბიბლიოთეკის მუშაკმა ისე უნდა შეადგინოს გამოფენის გეგმა, რომ გამოფენა ხელს უწყობდეს მშრომელი მასების კომუნისტური აღზრდის საქმეს, რაზმავდეს მათ შემდგომი ძლევამოსილი ბრძოლისათვის ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის ასაშენებლად.

ამ შემთხვევაში გამოფენაზე ნაჩვენები უნდა იყოს ლიტერატურა, რომელშიაც ასახულია დიდი რუსი ხალხისა და უკრაინელი ხალხის დიადი მეგობრობა, აგრეთვე ქართული და უკრაინელი ხალხების მეგობრობა და სხვა.

ამ სადღესასწაულო დღისადმი მიძღვნილ გამოფენას საერთო სათაურად უნდა გაუკეთდეს შემდეგი

წარწერა: „რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლის-
თავი“.

საერთო სათაურის შემდეგ ფარზე სათანადო აღ-
გილზე უნდა მოვათავსოთ ჩვენი დიდი ბელადების —
ლენინისა და სტალინის პორტრეტები, აგრეთვე კომუ-
ნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმ-
ძღვანელი ამხანაგების (გ. მალენკოვის, ვ. მოლოტოვის,
კ. ვოროშილოვის და ნ. ხრუშჩოვის) პორტრეტები.

საერთო სათაურის შემდეგ უნდა გაიკრას ქვესათა-
ურის წარწერა შემდეგი შინაარსით: „საბჭოთა კავშირის
კომუნისტური პარტია ხალხთა მეგობრობისა და ძმო-
ბის დიადი საქმისათვის ბრძოლაში“

ამ წარწერის ქვეშ უნდა განლაგდეს შემდეგი
ლიტერატურა:

ლენინი, ვ. ი. — უკრაინა. (თხზულებანი, მეოთხე
გამოცემა). თბ., სახელგამი, პოლიტიკური ლიტერა-
ტურის სექტორი. 1952. ტ. 25, 96 გვ.

ლენინი, ვ. ი. — უკრაინა და რუსეთის მმართველი
პარტიების დამარცხება. (თხზულებანი, მეოთხე გამო-
ცემა). თბ., სახელგამი, პოლიტიკური ლიტერატურის
სექტორი. 1952. ტ. 25, გვ. 106 — 109.

ლენინი, ვ. ი. — მანიფესტი უკრაინელი ხალხისადმი
ულტიმატური მოთხოვნებით უკრაინის რადისადმი.
(თხზულებანი, მეოთხე გამოცემა). თბ., სახელგამი,
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი, 1952. ტ. 26.
გვ. 420 — 422.

ლენინი, ვ. ი. — დეპეშა უკრაინის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს. (თხზულებანი, მეოთხე გამოცემა), თბ., სახელგამი, პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი. 1952. ტ. 29, 378 გვ.

სტალინი, ი. ბ. — საზავო მოლაპარაკება უკრაინასთან. (თხზულებანი), თბ., სახელგამი, პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი. 1948. ტ. 4.

სტალინი, ი. ბ. — ბრძანება უკრაინის შრომითი არმიისადმი. (თხზულებანი), თბ., სახელგამი, პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი. 1948. ტ. 4. გვ. 321 — 322.

სტალინი, ი. ბ. — ი. ბ. ამხ. კავანოვიჩს და უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხვა წევრებს. (თხზულებანი) თბ., სახელგამი, პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი. 1949. ტ. 8. გვ. 163 — 169.

ამ ლიტერატურასთან ერთად ფარზე უნდა განლაგდეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელი ამხანაგების წიგნები, მაგალითად, გ. მალენკოვის საანგარიშო მოხსენება პარტიის XIX ყრილობას, ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1953 წ. 3 სექტემბერს და სხვ.

ამავე განყოფილებაში თვალსაჩინო ადგილზე უნდა იყოს გამოფენილი პერიოდიკაში გამოქვეყნებული მა-

სალები, მაგალითად, — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის შესახებ, სტატია „ხალხთა მეგობრობისა და ძმობის დიადი ძალა“ და სხვ.

გამოფენის მეორე განყოფილებას ქვესათაურად შეიძლება ჰქონდეს შემდეგი შინაარსის წარწერა: **„უკრაინელი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ“**. ამ ქვესათაურის გვერდით ფარზე თვალსაჩინო ადგილას უნდა გაიკრას მხატვრულად დაწერილი შემდეგი ციტატა:

„ბოგდან ხმელნიცკიმ თავისი სიცოცხლე ორი ძირითადი ამოცანის გადაწყვეტას მოანდომა: უკრაინის განთავისუფლებას უცხოელთა უღლისაგან და რუსეთთან უკრაინის გაერთიანებას. ამ მიზნის განხორციელებას მან მიაღწია თავისი მძლავრი ნებისყოფის, თავისი დაუშრეტელი ენერჯის მთელი ძალით. თავის დიად ამოცანას მოანდომა მან თავისი ბრწყინვალე ტალანტი ორგანიზატორისა, გამოჩენილი თვისებანი მხედართმთავრისა და ჯარის უფროსისა, თავისი ხელოვნება შესანიშნავი დიპლომატიისა¹.

1. გაზ. „პრავდის“ მოწინავე, 1943. 11/X. გაზ. „კომუნისტი“, 1943. 12/X, № 213. გვ. 1.

...ბოგდან ხმელნიცკის მოღვაწეობის მწვერვალი იყო გადაწყვეტილება, რომელიც უკრაინელმა ხალხმა 1654 წელს მიიღო რადაზე პერე-იასლავში...“ აქვე ნაჩვენებია უნდა იქნას ბოგდან ხმელნიცკის სურათი.

აღნიშნული ციტატის შემდეგ უნდა გამოიფინოს შემდეგი მასალები:

ბოგდან ხმელნიცკის ორდენი. — გაზ. „პრავდის“ მოწინავე, 11/X — 43 წ. „კომუნისტი“, 1943 წ. 12/X, № 213, 1 გვ.

Рыбак, Н. — Переяславская рада. Мос. Гос. изд. худ. лит. 1953. 621 стр.

შევჩენკო, ტ. — კობზარი. თბ., სახელგამი, 1939. გვ. 62 — 133.

შევჩენკო, ტ. — გაიდამაკები. თბ., სახელგამი, 1938. 107 გვ.

ფრანკო, ივ. — ბორისლავი იცინის. თბ., სახელგამი, 1946. 333 გვ.

ფრანკო, ივ. — მოთხრობები. თბ., სახელგამი, 1942. გვ. 70 — 77.

ლესია უკრაინკა. — კრებული. თბ., საბჭოთა მწერალი. 1949. გვ. 97 — 122.

ამავე განყოფილებაში თვალსაჩინო ადგილზე უნდა მოთავსდეს აგრეთვე მხატვრულად გაფორმებული შემდეგი ციტატა:

„რუსი ხალხისა და უკრაინელი ხალხის ერთობლივი ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ, სოციალიზმის გამარჯვებისათვის, კომუნისტური მშენებლობის ახალი გამარჯვებისათვის სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის დიადი ძალის ერთერთი მკაფიო მაგალითია“¹.

გამოფენის მესამე განყოფილებას ქვესათაურად შეიძლება გაუკეთდეს შემდეგი შინაარსის წარწერა: **ქართველ და უკრაინელ ხალხთა დიადი მეგობრობა** ამ წარწერის შემდეგ ფარზე უნდა განლაგდეს შემდეგი მასალები:

ჯამბახიძე, ვლ. — ლესია უკრაინკა და საქართველო. გაზ. „სახალხო განათლება“. 1952. 6/VIII, № 32. 3 გვ.

ქარელიშვილი, ერ. — თავისუფლების მომღერალი. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“. 1932. I/VIII. № 31. 2 გვ.

ნატროშვილი, გ. — უკვდავი პოეტი. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“. 1952. I/VIII, № 31. 1 გვ.

თორდუა, ვ. — სურამში. გაზ. „კომუნისტი“, 1952. I/VIII, № 181. 2 გვ.

ბარამიძე, ა. — დავით გურამიშვილი. გაზ. „კომუნისტი“. 1952. I/VIII, № 181. გვ. 2.

1. ხალხთა მეგობრობისა და ძმობის დიადი ძალა. გაზ. „კომუნისტი“, 1953. 10/XII. № 298 გვ. 1.



ლესია უკრაინკას — ძეგლის გახსნა სურამში, —
გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“. 1952. 8/VIII,
№ 32, 1 გვ. და სხვა.

ამ განყოფილებაში თვალსაჩინო ადგილზე უნდა
მოვათავსოთ მხატვრულად დაწერილი შემდეგი სიტ-
ყეები:

„საქართველოს მთებს,¹
სადაც ჰპოვა სიყვარული
ლესია უკრაინკამ,
უკრაინის ტრამალებიდან,
სადაც ჰპოვა სიყვარული
დავით გურამიშვილმა“.

ოლეს განჩარი

გამოფენაზე უნდა გაიკრას ლიტერატურის მოკლე
სარეკომენდაციო სია სათაურით: „მასალები რუსეთთან
უკრაინის შეერთების 300 წლისთავთან დაკავშირებით“,
სარეკომენდაციო სიაში სხვა მასალებთან ერთად
მოცემული უნდა იყოს ამ მეთოდურ წერილზე დართუ-
ლი ბიბლიოგრაფია და აგრეთვე ახლად გამოქვეყნე-
ბული მასალები.

თითოეული ბიბლიოთეკა ვალდებულია წინასწარ
შეარჩიოს ლექციების თემატიკა, რაც გათვალისწინე-
ბულ უნდა იქნას კვარტალურ გეგმაში. არ უნდა
დაგვავიწყდეს, რომ დამტკიცებული ლექციების თემა-
ტიკის მიხედვით უნდა მოხდეს ლექტორების მოწვევაც.

¹ სურამის ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმის მასალებიდან.

ქვემოთ ვასახელებთ რამდენიმე თემას, რომელთა მიხედვით ბიბლიოთეკას შეუძლია ჩაატაროს ლექციები:

1. რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი.
2. რუსი ხალხის როლი სლავთა ბრძოლაში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.
3. ბოგდან ხმელნიცკი — უკრაინელი ხალხის დიდი შვილი.
4. დიდი უკრაინელი პოეტი-დემოკრატი ტ. გ. შევჩენკო.
5. ქართველ და უკრაინელ ხალხთა დიდი მეგობრობა და სხვ.

ლიტერატურის პროპაგანდის ერთ-ერთ მოქმედ და აქტიურ მეთოდს წარმოადგენს მკითხველთა კონფერენციის ჩატარება. ბიბლიოთეკის თითოეული მუშაკი ვალდებულია იცოდეს, რომ მკითხველთა კონფერენციის ჩატარების ძირითად ამოცანას შეადგენს: დავეხმაროთ მკითხველებს, კრიტიკულად განიხილონ და შეასწავლონ წიგნი, გავუღვიძოთ მათ საუკეთესო მხატვრული წიგნების კითხვის ინტერესი, მოვიზიდოთ კონფერენციის მონაწილენი ბიბლიოთეკის მკითხველებად და სხვა.

ამ შემთხვევისათვის თითოეული ბიბლიოთეკა ვალდებულია, მკითხველთა კონფერენციის მალახარისხვნად ჩატარებისათვის მოფიქრებულად შეარჩიოს თემა და წიგნები.

სანიმუშოდ დავასახელებთ რამდენიმე თემას. მკითხველთა კონფერენციისათვის. აგრეთვე წიგნებს, რომლებიც შეიძლება განხილულ იქნას კონფერენციაზე.

თ ე მ ა	წ ი გ ნ ე ბ ი
<p>სლავ ხალხთა გაერთიანებისათვის მებრძოლი მწერლები</p>	<p>შევჩენკო, ტ.—კობზარი. თბ., სახელგამი, 1939. გვ. 429, ფრანკო, ივ.—მოთხრობები. თბ., საბლიტგამი, 1942. გვ. 159. (აღნიშნულ წიგნებში უნდა შეიკრეს მასალები თემის მიხედვით).</p>
<p>კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ასახვა უკრაინულ მხატვრულ ლიტერატურაში</p>	<p>ფრანკო. ივ. — ბორისლავი იცინის. თბ., სახელგამი, 1946. გვ. 333.</p>
<p>სამამულო ომის ასახვა უკრაინულ მხატვრულ ლიტერატურაში</p>	<p>გონჩარი, ო. — მედროშენი. თბ., სახელგამი, 1952. გვ. 594. და სხვა წიგნები.</p>
<p>ლიტერატურის პროპაგანდის კარგ მეთოდს წარმოადგენს ბიბლიოგრაფიული მიმოხილვების ჩატარება. ეს შესაძლებელია არა მარტო გამოფენის მოწყობასთან დაკავშირებით, არამედ აგრეთვე სხვადასხვა თათბირებისა და წრეობრივი მუშაობის დაწყების წინ.</p>	
<p>ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა ხშირად შეიძლება ჩატარდეს ახლად მიღებულ წიგნებზე. მაგრამ შესაძლებელია ის ჩავატაროთ წინათ შექმნილ წიგნებზეც.</p>	

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საჭიროა წიგნები შევარჩიოთ დაკვირვებით, ამა თუ იმ განსაზღვრული თემისა და მისი აქტუალობის მიხედვით (5 — 6).

ბიბლიოგრაფიული მიმოხილვის დროს უნდა დავასახელოთ ავტორი და წიგნის სათაური, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გამოცემის წელი და გვერდი. რაც მთავარია, უნდა შეგვეძლოს თითოეული წიგნის მოკლე შინაარსის გადაცემა ისე, რომ მკითხველებში აღეძრათ მისი წაკითხვის სურვილი: წაუფიქროთ მათ ზოგიერთი საინტერესო და დამახასიათებელი ფრაზა წიგნებიდან.

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავთან დაკავშირებით თითოეული ბიბლიოთეკა ვალდებულია შეარჩიოს ბიბლიოგრაფიული მიმოხილვისათვის როგორც ისტორიული, ისე მხატვრული ლიტერატურა. წიგნები შესაძლებელია შერჩეულ იქნას ამ მეთოდურ წერილზე დართული ბიბლიოგრაფიული წყაროებიდან.

აღნიშნულ სამუშაოებთან დაკავშირებით ბიბლიოთეკები ვალდებული არიან შეადგინონ გაზეთების ამონაჭრების ალბომი.

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისათვის მზადება არ უნდა გავიგოთ როგორც უბრალო კამპანია. ბიბლიოთეკები ვალდებული არიან ყოველთვის გაითვალისწინონ თავიანთ კვარტალურ გეგმებში დიდ რუს ხალხთან მეგობრობის საკითხი, როგორც წამყვანი თემა. მათ ამ მხრივ სისტემატურად უნდა ჩაატარონ სათანადო მუშაობა ბიბლიოთეკებში.

უკრაინელი მწერლების თხზულებანი ქართულ ენაზე

ბაუანი, მ. — ლექსები, პოემები. რედ. ს. ჩიქოვანი. თბ., „ფედერაცია“ 1941.

გონჩარი, ო. — მედროშენი (რომანი). თარგმ. დ. კასრაძის და ს. ფაშალიშვილისა. თბ., სახელგამი, 1952.

კოზაჩენკო, ვ. — ახალი ნაკადები. (მოთხრობები). ლ. ასათიანის რედაქციით. თარგმ. რ. გვეტაძისა. თბ., „საბჭოთა მწერალი“, 1951.

მარკო, — აჯანყებული მთები. თარგმ. პოლიო აბრა-
მოასი. ტფ. სსსრ რემედასის ცეკას გ-ბა, 1929. 16 გვ.

მოკრიევი, მ. — ჯეჯილი ბიბინებს. პიესა სამ მოქმე-
დებად. თარგმნილი უკრაინულიდან იასამანისა. თბ.,
1940.

პანჩ, პ. — ცისფერი ეშელონები (მოთხრობები) ტფ.,
„ფედერაცია“. 1931.

უკრაინკა, ლ. — ლექსები, პოემები, პიესები. შესა-
ვალი წერილი ლევ. ასათიანის. თბ., „საბჭოთა მწერა-
ლი“-ს გამ-ბა, 1952.

უკრაინკა, ლ. — კრებული. თბ., „საბჭოთა მწერა-
ლი“-ს გამ-ბა, 1949.

ფრანკო, ი. — ბორისლავი იცინის (რომანი). თარგმ.
წულუჟიძისა. თბ., სახელგამი, 1946.

ფრანკო, ი. — პოეზია ლ. ასათიანის წინასიტყვაო-
ბით. თბ., „საბჭოთა მწერალი“-ს გამომცემლობა, 1951.

- ფრანკო, ი. — მოთხრობები. თბ., საბლიტგამი. 1942.
- შევჩენკო, ტ. — ლექსები და პოემები. შ. რადიანის და სიმონ ჩიქოვანის რედაქციით. თბ., სახელგამი, 1939.
- შევჩენკო, ტ. — კობზარი (ლექსები და პოემები). შ. რადიანის და სიმონ ჩიქოვანის რედ. თბ., სახელგამი, 1939.
- შევჩენკო, ტ. — კატერინა (პოემა) თარგმანი უკრაინულიდან სიმონ ჩიქოვანის მიერ. თბილისი. „ფედერაცია“ 1936.
- შევჩენკო, ტ. — ლექსები და პოემები. თბ., სახელგამი, 1937.
- შევჩენკო, ტ. — კავკასი. თარგმანი უკრაინულიდან. თბ., „ფედერაცია“ 1937.
- შევჩენკო, ტ. — ლექსები და პოემები. ს. ჩიქოვანის რედ. თბ., სახელგამი, 1952.
- შევჩენკო, ტ. — სიზმარი (კომედია) თარგმანი უკრაინულიდან დ. გაჩეჩილაძემ. თბ., „ფედერაცია“, 1937.
- შევჩენკო, ტ. — გაიდამაკები (პოემა), თარგმანი კოლაუ ნადირაძისა. თბ., „ფედერაცია“, 1938.



ფფაღღ

4583

22/7

300-летие воссоединения Украины с Россией

Составители: А. Шанидзе

Н. Челидзе

Гос. научная библиотека им. А. Джапаридзе

Тбилиси

1954